№ 82

კვირა, 17 აპრილი 1894

1877—1894

# ივერია

№ 82

კვირა, 17 აპრილი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

## ქ რ ი ს ტ ე   ა ღ ს დ გ ა!

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 22 აპრილს.**

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

ორშაბათს, 18 აპრილს, გამართული იქნება

**კონცერტი**

გამოჩენილ არტისტ-ქალის პეტერბურგის საიმპერატორო ოპერისა და ლონდონის სამეფო კოვენტ-გარდენის თეატრისა

**მრავინასი.**

მონაწილეობას მიიღებს პეტერბურგის საიმპერატორო ოპერის არტისტი ფრეი.

ბილეთები ისყიდება ზ. მირიმანიანის სამუსიკო დეპოში, სასახლის ქუჩაზედ.

(1—1140—1)

ამ ნომერთან ეგზავნება ტფილისის ხელის მომწერთ „საქმის წარმოების რიგი“ წერა-კითხვის საზოგადოებისა.

**ლატარია-ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 8 მაისს. ვისაც სურს შემოსწიროს** ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს **ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას** (ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი).

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში

ოთხშაბათს, 30 აპრილს

მომღერალი—ბარიტონი **კ. ს. ცხომელიძე** გაჰმართავს საღამოს.

წარმოდგენილი იქნება რუსულად:

I

**„დემონი“**

1 სურათი 1 აქტისა

II

**„მასკოტტა“**

ოპერა 2 აქტად მუსიკა ოდრანისა.

ლორანის როლს პირველად რუსულს ენაზედ შეასრულებს ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ე. დ. ორლოვსკისა, ე. ნ. კოვალსკისა, ბ. ზიგომოლოვი, სმირსკი.

იდირიჟორებს ი. ბ. ფალიაშვილი.

### ტფილისი, 17 აპრილს

—

დიდებულს დღესასწაულს ქრისტეს აღდგომისას ყოველთვის განსხვავებულის მხიარულებითა და აღტაცებით ეგებება მორწმუნე ერი.

აღდგომა ჯვარცმულის მაცხოვრისა, კაცთა ნათესავთა სახსნელად, მართლა რომ დიდებული წამია ქვეყნისათვის; იგი არა ჰგავს დღესასწაულთ, წარჩინებულ კაცთა მოსაგონებლად, რადგანაც ყოველი, რაც გაუკეთებიათ ზნეობისა და გონების აღსამაღლებლად კაცობრიობის წარჩინებულთა მუშაკთა, უნიჭიერესს ადამიანის გულისა, გონებისა და ბუნების საიდუმლოებათა გამომეტყველთ, ყოველი ესე არის ისტორია.

დღესასწაული ჩინებულ მოღვაწეთა გამო, რომელთაც დაუშვენებიათ და წაუდგმევინებიათ ნაბიჯი წინ მსოფლიო წარმატებისათვის, არის მხოლოდ გახსენება წარსულისა, მადლობაა და დაფასება ამა ავტორთა მოღვაწეთა.

ადამიანს აკვირვებს, აღიტაცებს! და მადლობის გრძნობით აღუვსებს გულს ისეთის კაცების გახსენება, როგორნიც არიან: ნიუტონი, გალილე, შექსპირი, ლაპლასი, დარვინი, ვაშინგტონი და სხ. ყოველი, რაიცა სთქვეს, ან მოიმოქმედეს ამ საოცარმა ადამიანის შვილებმა, დიდებული და მშვენიერი იყო, მაგრამ იგი შეეხება მხოლოდ წარსულს.

ხოლო დღესასწაული-კი ქრისტეს აღდგომისა, დღესასწაულია მომავალისა. მცნება წამებულის მაცხოვარისა უმშვენიერესი იდეალია ცხოვრებისა კაცთა შორის, რომლის მიმართ უნდა მიისწრაფოდეს კაცობრიობა.

არც წინედ, არც შემდეგ და არც მომავალში არ თქმულა და არც იქნება თქმული ქრისტეს მცნებაზედ უფრო სამართლიანი, კეთილშობილი და გონიერი სიტყვა. ახარებამ სავსებით შეითვისა, რაც-კი რამ ძველს ცხოვრებაში კარგი ინახებოდა. ამავე დროს, სახარება მისწვდა კაცობრიობის უკანასკნელ იდეალს—სიყვარულს და სამართლიანობას ძმათა შორის და ამას იქით, ხომ წასვლაც შეუძლებელია!

მაგრამ ყოველთვის, როდესაც კაცი ესწრება აღდგომის დღესასწაულს, ხალხის მხიარულებასა და ღვთისა მიმართ მადლობის შეწირვას, ერთი რამ რჩება გამოსაცნობად.

ეს მხიარულება, ეს აღტაცება, ეს ქება და დიდება სჯულის მომცემისა—სრულია და გულ-წრფელი ვითომ?

გარეგნად თუ გავარჩევთ, ეჭვის შეტანაც არ შეიძლება ამ გრძნობისა, რადგანაც მხიარულება ესე საერთოა და ძალ-დაუტანებელი. მაგრამ საფუძველი ქრისტეს სწავლისა ვითომ ნამდვილად აღიარებულ იყოს მორწმუნეთა მიერ?

სანამდის ამის პასუხს ვიტყოდეთ, სჯობს გავიხსენოთ აწინდელი დამოკიდებულება კერძო ადამიანთა, ქვეყანათა და სამეფოთა ურთიერთ შორის.

თითოეული ამათგანი გამსჭვალულია მხოლოდ საკუთარის ანგარის გრძნობით, პირადის ანგარიშით და, მოყვასისათვის ფიქრი და ზრუნვა, როგორც ასწავლის სჯული ქრისტესი მართლ-მორწმუნეს, სრულიად დავიწყებია.

დასამტკიცებლად ამ აზრისა აიღეთ ახლანდელი შეიარაღებული ევროპა, ეს განათლებული და დაწინაურებული ქვეყანა, რომელმაც თითონაც არ იცის რა მოელის ხვალ! ეს ევროპა, სადაც ოც მილიონამდე იარაღით შეჭურვილი კაცია, რომელთა დანიშნულებაა მტერი შემუსროს, ქვეყნები გაანადგუროს და სამარადისო შური და სიძულვილი დასთესოს კაცთა შორის.

განა ქვეყანას, რომელიც ამისთანა არა ქრისტიანულის განზრახვითა და გრძნობით არის გამსჭვალული, დაეჯერება, რომ იგი ჭეშმარიტი მართლ-მორწმუნეა იესოსი, რომლის სწავლა ერთის სიტყვით გამოიხატება: „გიყვარდეს მოყვასი შენი“?!.

თავით ფეხამდის შეიარაღებული ევროპა, ხმელეთსა და ზღვაზედ კაცთა სამტროდ აღდგინებული, განა ნიშანია ქრისტიანობისა?!.

ღაღადი და თაყვანისცემა ღვთისა კარგია, მაგრამ პირველად გულ-წრფელობა და ლოღიკა უნდა ჰქონდეს საფუძვლად ამ გრძნობას. მხოლოდ გარეგნად აღიარებული აღდგომა, არც ღვთისათვის არის საამო და არც კაცთათვის საკეთილო. ცალიერი აღტაცება მისის მადლით აღსავსე მოქმედებისა გამო, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა სიყვარული და რომელიც ჩვენ ვერ შევითვისეთ, რომლის ჭეშმარიტს გზას ძმათა სიყვარულისას გადავსცდით,—შეეფერება უფრო ფარისეველს და ცრუ-მორწმუნეს, ვიდრე გულ-წრფელ თაყვანისმცემელს უფლისას და დღეს ორიათასის წლის შემდეგ ქრისტეს აღდგომისა კეთილ მორწმუნე ქრისტიანენი განა უფრო დაახლოვებულნი არიან მისთვის ჯვარცმულ ღმერთთან, ვიდრე პირველ საუკუნოებში?

მეველე

### სააღდგომო

—

მოკქრიალდა გაზაფხული
სატრფიალო, საყვარელი,
მრავალ-ფერად იმოსება
მთა, მინდორი, ტყე და ველი.

—

მწვანე ბალახს დილის ნამი
მარგალიტებრ ზე აყრია,
პატარ-ძლურად თავ-დახრილი
ველს ამშვენებს ნაზი ია.

—

ტურფა გუნდი თეთრის გედის
გადაშლილა მწყობრად ცაზე,
თვალს მოსტაცებს კაცს იმათი
სინარნარე, სილამაზე;

—

მიისწრაფვის ჩრდილოს მხარეს
საგრილებლად მაღალ მთაზე
და, ეტყობათ, გულ-დაწყვეტით
თათბირი აქვთ რაღაცაზე.

—

თითქო შურით შეჰყურებენ
მოჭიკჭიკე, მალხაზ მერცხალს;—
სჩანს ბუნებას უწუნებენ
უცვალებელს წესსა და ძალს:

—

რატომ ჩვენცა, დალოცვილმა,
არ გვარგუნა მერცხალთ წესი,
რომ ამ ქვეყნად გაზაფხულზე
ვნავარდობდეთ ცის სივრცეში!

—

უშიშარად კაცთა ჭერ-ქვეშ
მოუშლელი გვქონდეს ბინა,
მობიბინე გაზაფხული
კისკასობდეს ჩვენ თვალ წინა!

—

ამ ბაასში იყვნენ გედნი,
რომ შეესმათ ხმა რაღაცა,

## ფელეტონი

—

### მ ა ს ლ ა ა თ ი

„სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართევლად“.
რუსთაველი

დღევანდელს ბრწყინვალე დღეს სულ სხვა გვარი მასლაათი შეჰფერის. ეს მასლაათი უნდა შეეხებოდეს სულით აღდგენის და გულით ამაღლების საგანს და ეს იმიტომ, რომ წმინდა აღდგომის აზრი და შინაარსი სწორედ ესრეთია. როცა ზეციერი მოძღვარი და მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა, ცოდვილი კაცობრიობაც მაშინ ამაღლდა, განახლდა, მაშინ მიენიჭა დავრდომილ და დაძაბუნებულ საზოგადოებას ცხოვრება ჭეშმარიტი. აღდგომამდე ცოდვა მეფობდა, სიბნელე ბატონობდა. ეს ზნეობრივი სიკვდილი ქრისტემ თავისის სიკვდილით დათრგუნა და სიბნელე განაბნია... ძველი ცოდვილი და ცდომილი ცხოვრება განქრა და ახალი დაიწყო. ამიტომაც აღდგომა ქრისტიანობის უდიდესი და უპირველესი დღეა, „დღესასწაულთა დღესასწაულია“.

ღვთის წინაშე, ესაჭიროება კიდეც ქართველობას ამ დღესასწაულზე მასლაათი. ჩვენი საზოგადოება იქამდე დაქუცმაცდა და „დაკნინდა“ გონებით, რომ აღდგომის მნიშვნელობაც კი არ ესმის, თუმცა ქრისტეს სამწყსოდ ითვლება. წინად, როცა ჩვენში საეკკლესიო და სასულიერო განათლება ჰყვაოდა და შესანიშნავნი ღვთის-მეტყველნი ერს ასწავლიდნენ და უქადაგებდნენ, ხალხმა კარგად იცოდა საზოგადო და ადგილობრივის დღესასწაულის, „ღეობის“, «ხატობის» მნიშვნელობა. ახლა სულ სხვაა. მაგრამ ჩვენ მაინც საეკკლესიო მოძღვრების თვალით ვერ გავსინჯავთ აღდგომას,—ეს ჩვენი საქმე არ არის. ყველა დღესასწაულს საეროვნო მხარეც აქვს. აი ეს მხარეა ჩვენთვის საჭირო.

დიაღ საყურადღებო და შესანიშნავია, რომ ახლაც ქართველს დღესასწაული, სხვა-და-სხვა ღეობა და ხატობა მარტო საეკკლესიო დაწესებულებად არ მიაჩნია. ზოგნი ფიქრობენ, რომ ასეთი შეხედულობა კერპ-თაყვანისმცემლობის ნაშთიაო. როგორც უნდა იყოს, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ქართველს დღესასწაული მარტო ლოცვისა და ვედრებისათვის არ უნდა, „ღეობა“, „ხატობა“ სალხინოდ, საქეიფოდ, დროს-გასატარებლად მიაჩნია. როცა ხატში მიდის, სიამოვნება, გართობა, „თვალის გახელა“, ავისა და კარგის გაგება აქვს აზრად.

ხატობასა და ღეობაში თუ ნახავს კაცი ჩვენს საეროვნო ჩვეულებას და ვარჯიშს, მაგ., ცეკვას, ბურთაობას, ჯირითს, ჭიდაობას და სხ. იქვე ცილობენ და ჯიბრობენ მემუსიკენი, მეშაირენი, მომღერალნი. და როცა ამ სიცოცხლით სავსეს საეროვნო სურათს აკვირდები, მახსოვრობა უნებურად გაგონებს ძველ საბერძნეთის ცხოვრებას, სადაც თვით ღმერთნიც კაცნი იყვნენ და ქვეყნად მოღვაწეობდნენ. სამწუხაროდ, რაც დრო მიდის დღესასწაულის და ხატობის სახე, მისი მიგებება და გატარება უფრო იცვლება და თანაც კიდეც ისპობა. ჯერ ჯერობით ძველებური მადლი ისევ სოფლად თუ მოიპოება. დღესასწაულმა და ხატობამაც მხოლოდ იქ შეირჩინა საეროვნო ფერი, თორემ ქალაქ ადგილას ყველა სახალხო ჩვეულება გადასხვაფერდა, შეიცვალა და ზოგიც კიდევ განქრა და მოიკვეთა. სადღაა, მაგ., სააღდგომო ყაბახი, ეს საამო სანახავი და სავაჟკაცო მოედანი, სადაც მაყურებლის თვალს იტაცებდა და ჰხიბლავდა—

„ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ყურთ-მაჯთ ფრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა,
კვალად ზე-ხტომა და ხმალთ კრიალი!“...

ქალაქად რაც-კი რამე სადღესასწაულო ჩვეულება დარჩა, იმანაც ძველი მნიშვნელობა და აზრი დაკარგა. რაც უცხოეთელმა განათლებამ ჯერ კიდევ ვერ შემუსრა, იგი, ჩვენის დაუდევრობით, ნელ-ნელა ივიწყება და ხმარებიდგან გამოდის. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ სამუდამოდ განქრა სადღესასწაულო საერთო ლხინი და დროს გატარება. აიღეთ თუნდ ტფილისი. ამ მხრით ჩვენი დედაქალაქი ნამდვილი ბაბილონის გოდოლს წარმოადგენს. თითოეული უბანი განსხვავებული და განსაკუთრებული კუთხეა, რომელსაც თავისი ადგილობრივი ფერი სძევს და თავისი ხასიათი აქვს. ავლაბრელი, მაგ., მთაწმინდელისაგან განირჩევა, მთაწმინდელი ჩუღურეთელს არ მიაგავს, ჩუღურეთელი—ხარფუხელს და სხ. არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ ქალაქის ყველა კუთხე სცდილობს თავისი უბნური ზნე და ჩვეულება დაიცვას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. სავალალო

ფრთა შეკუმშეს, თითქო მათ წინ
შეძრულიყოს მიწა და ცა.

—

მზემ კაშკაში იწყო მკვირცხლად,
მოეფინა ზღვა და ხმელთა,
შეთამაშდა და ჩინჩხლები
სტყორცნა ციაგს—შეუერთა...

—

ყოველ მხარეს შეუწყვეტლად
საალდგომო იკვრის ზარი
და ჯვარცმულის სადიდებლად
ბრწყინავს ქვეყნად ღვთის ტაძარი.

—

უცბად ხალხი შეჩოჩქოლდა:..
ჯვარი მოაქვს მოხუც ბერსა
ხელ აღპყრობით, ხმა მთრთოლვარე
ღმერთს აველრებს ჩაგრულ ერსა.

—

შესდგა ბერი ტრაპეზის წინ
დაიძახა: „აღსდგა ღმერთი“!
ამ მოლოცვას ბანს აძლევენ
ცა, ქვესკნელი, ზღვა, ხმელეთი...

—

მთას ბუმბერაზს, ნისლით მოსილს
მსწრაფლ მოეხსნა შავი ფარდა,—
ლაჟვარდ ცაზედ გედის გუნდიც
შეტრიალდა, შენავარდდა!..

განდეგილი

# დამაკვირდი

—

ხალხის ბრბოს ვერასოდეს ვერავითარი ფილოსოფია და ზნეობის სწავლა სარწმუნოების მაგიერობას ვერ გაუწევს.

შლოსერი

**

უმაღლესის ჭკუის კაცთათვის მით უფრო საჭიროა სარწმუნოება, რომ იმათ სხვებზედ უკეთ ესმით სიმცირე ადამიანის ცოდნისა.

ეტვოისი

**

სარწმუნოება, დასაწყისი-კი არა, დასასრულია ყოვლის სიბრძნისა.

გეტე

## ცოდვილი

(ა. ტოლსტოისა)

I

ხალხი ჰხმაურობს, ჰღაღობს, განგაშებს,
ისმის ხმა ებანთ და წინწილათა;
მწვანე მიდამოს ტურფად ამშვენებს
კრებული ნარგიზთ, ვარდთა, იათა.
კარ-შესავალთან დიდი სვეტები
ნოხ-ხალით არის მთლად დაფენილი
და მის ზემოდგან ფარჩის ფარდაგი
ზონარ-გრეხილით ზე-აკრეფილი.

სრა და სასახლე სულ მთლად ბრწყინვალებს
ბროლით, ბაჯხით, ოქროთი, ვერცხლით;
მოედანსავით გაშლილი ეზო
გაჭედილია ცხენით და ეტლით.
დიდსა ტრაპეზსა შემოსხდომია
დიდებულთ კრება, მოლხინეთ ჯარი
და საკრავის ხმას თან ერთვის მათი
ცხარე ბაასი და საუბარი.
თამამად სვიან და მოუთხრობენ
ერთურთს, ვითარ სმულთ რომის უღელი,
ვით მბრძანებლობს მძლავრი პილატე
და პიუწვდება სადამდე ხელი.
სალაპარაკოდ არის გამხდარი
გაჭრობა, ომი მოსალოდნელი
და ქვეყანასა მას მოვლენილი
კაცი უცნობი და საკვირველი.

II

„მმათ სიყვარულით გატაცებული,
„ერს თავ-მდაბლობას ის ასწავლიდა
„და მოსეს სჯულსა მხოლოდ ერთ კანონს
„სიყვარულისას უმორჩილებდა.
„შურისძიებას უარ-მყოფელი,
„ის ჰქადაგებდა მიტევებასა
„და ბოროტის წილ კეთილის მიწევას,
„ხორცის დათრგუნვას, სულის შვებასა.
„მადლაც ჰქონდა იმას ღვთიური,
„საპყართ, მკვდრობელთ აღადგინებდა,
„თვალს აღუხელდა ბრმათ, უსინათლოთ,
„განრღვეულთა და უძლურთ ჰკურნებდა.
„მოვლენილს ცოდვილთ სინანულადა,
„გულთ ხმა-მყოფელი ჰქონდა მას სული;
„არცა განზრახვა და არცა ფიქრი
„არა იყო-რა მისთვის ფარული.
„ურუთა ასმენდა, უტყვთა ატყვებდა,
„ყოველთა იყო მლხენელი, მხსნელი,
„არვის განსჯიდა და ტანჯულთათვის
„გაწვდილი ჰქონდა მოწყალე ხელი.
„სჩანს, ღვთისგან არის იგი რჩეული
„მოუგზავნია ცას ესდენ სრული...
„მოვლო წიაღი იორდანესი
„და ბევრიცა ჰქმნა მუნ სასწაული.
„ესლა მოსულა აქ, სახიერი,
„ჰსურს განანათლოს ქვეყანა ჩვენი;
„მრავლად მოსდევენ მოკრძალებულნი,
„გულ-მოდგინენი მის მოწაფენი“.

III

ამ განგაშში სტუმართა ჯარი,
ერთურთს უამბეს კარგი და ავი...
ყურს მიუპყრობდა მათ შორის მყოფი
ხელში ფიალით ქალი მეძავი.
სამოსი მისი, მკირა, უკდემო,
თვალს იტაცებდა და ატყვევებდა
და ყოველს მნახველს უმანკოლის ქალის
ცოდვილს სიცოცხლეს გაუმჟღავნებდა.
მაგრამ ცოდვილიც იყო ესოდენ
სახით მშვენიერ, ტურფა, კეკლუცი,
რომ ძალსა იმის მშვენებისასა
დაჰმონებოდა ყრმა და მოხუცი.
. . . . . . . . . . . . . . . . . . .
იმის გულს ქენჯნა არ აშფოთებდა,
აღარა სწვავდა სირცხვილის ცეცხლი
და მის სიყვარულს ყველა იყიდდა,
ვისაც-კი ჰქონდა ოქრო და ვერცხლი.
მლხენელთა თქმული გულს მოხვდა მწარედ
ვით კიცხვა, კილვა და საყვედური,
გულ-ზვავად ადგა ამპარტავანი
და დაიძახა: „მომიგდეთ ყური!
„ვერავის ძალა ვერ შემაშინებს,
„თუნდ ჩამოვიდეთ ესლავ ნაძლავი...
„მოვიდეს ეგე თქვენი მოძღვარი,
„თუ მოვიხრო იმის წინ თავი!..“

IV

ღვინის სმა არის, სიცილ-ხარხარი,
კილოს გაპობმა, შესხმა-ქებანი,
და ზედ დაურთავს თავისს მწყობრს ხმასა
წინწილ-ზობღანი, დაფი, ებანი...
და აგერ კრებას, უქმად მოლხინეს
მიუახლოვდა ყრმა მშვენიერი...
მის ტანს, მომხვრას და მიმოქცევას
აზის ბეჭედი ზედ ციხიერი.
დიდი უფლება და დიდი ძალა
დიდებულს სახეს ზედ აჩნევია;
სჩანს, ამა სოფლის ამაოება
და ცოდვა მადლით დაუძლევია.
მერძისისაგან უქრის გონება...
ჰგავს იგი რჩეულს, მადლით ცხებულსა,
ანგელოზს, ჩვენდა ხსნად და ნუგეშად,
ცით ამა ქვეყნად მოვლინებულსა.
მისის დიდებით თვის უნებურად
შეკრთა ცოდვილი იგი ასული,
თავი დაღუნა... რა გაახსენდა
სიტყვა თამამი, თვის მიერ თქმული,
განშორდა კრებას და კადნიერად
ტან-რხევით წარსდგა იმ მსხემის წინა,
ტკბილის სასმლით სავსე ფიალა
ურცხვის ღიმილით მას გაუწვდინა.
„შენ ხარ ამ სოფლის უარ-მყოფელი,
„ასწავებ ხორცის უძლურებასა?
„ჩემი სწავლა სჯობს შენსა სწავლასა
„და ვერ ვირწმუნებ შენს მოძღვრებასა.
„ვერ შემაშფოთებ, ვერ შემაძრწუნებ,
„არცა ვიქნები შენგან ძლეული,
„თუმცა ორმოცსა დღეს ჰმარხულობდი
„უდაბნოს მარტოდ, მსხემად, ეული!..
„არ ვიცი ლოცვა, არც მარხულობა,
„მრწამს ქვეყანად მხოლოდ მშვენიერება,
„ღვინის სმა, ლხინი, კოცნა-ალერსი,
„განცხრომა, შვება და ნეტარება“...
ისევ ისმოდა იმისი სიტყვა
და კადნიერი მისი სიცილი;
ბროლის თითებზედ ეწვეთებოდა
დახრილ ფიალით სასმელი ტკბილი,
რომ ხალხის კრებამ გაიხმაურა:
„უცნობმა სახემ თუ შეაცდინა. .
„ეგ ის არ არის, რომლისა ქებაც
„ესლა ხან ტურფამ აქ მოისმინა.
„შესცდა, დაიბნა... სულ სხვა ჰგონია!..
„მოწაფე სათნო და საყვარელი,
„ეგ მოსავია დიდის მოძღვრისა,
„იოანნეა გალილეველი“.

V

დაუდევნელად ისმენდა იგი
უმანკოლის ქალის წყენას უძლურსა...
აგერ მეორეც წუნარის ნაბიჯით
მიუახლოვდა იმა სადგურსა.
მშვიდს და წუნარს სახეს ზეგარდმო მადლი,
დიდი ნიჭი არ გარდაჰფენია,
მხოლოდ გადაშლილს, საოცარს შუბლზედ
ფიქრს თვისი კვალი დაუმთენია.
არწივებრივი თვალი არა აქვს,
არც ანგელოზის ტურფა შვენება...
ორსავე მხარზედ გადავარცხნილი
გრძელი, ხუჭუჭი თმა ეფინება.
მის ტანს მოხდენილს ზემოდგან ჰფარავს
მატყლის უბრალო შესამოსელი...
თვალნი არავის უნახავს ისე
მადლით აღსავსე, ისე ნათელი.
შესწყდა მსწრაფლ ჟღერა საკრავებისა,
გაჩუმდა ყველა, სული გატრუნა,
ნეტარის მისვლამ იქ მყოფთ მოლხინეთ
გული შეაკრთო და შეაძრწუნა.
ელის რაღასაც არა-ჩვეულსა,
უძრავადა ჰზის მთელი კრებული;
არ უწუნარდებათ სული მღელვარე,
შეწუხებული, შეშფოთებული...
და ამ დუმილში მან გადაავლო
ნათელი თვალი თავ-მოყრილს ერსა
და შეაჩერა მწუხარედ ასულს,
ურცხვსა მეძავსა მას მშვენიერსა.

VI

მეძავის შავ-ბნელს გულში რაც იყო,
შეიქმნა მისთვის აშკარა, ცხადი;
მის ნათელ თვალმა, ვითა დღის შუქმა,
განფანტა იგი ღამის წყვდიადი,
და გადუშალა შეუბრალებლად
თვალთა წინაშე ტურფას წარსულ,
ცოდვით და ბრალით სავსე ცხოვრება,
სული ხორცისთვის გნებულ-ტანჯული.
უცებ შეიგნო თვისი სიცოცხლე
ფუჭი, ამაო და ბიწიერი,
დაეცა შიშის ელდა და ზარი,
შეძრწუნდა, შეკრთა, შეიქმნა მტერი.
მისწვდა გონებით, რა მადლი, ძალა
ჰქონდა უფლისგან მინიჭებული
და ამ მადლს უხვსა ვითა ჰზღალავდა
ბიწით და ცოდვით გატაცებული.
სახიერისა მადლიანს თვალში,
დღეს პირველ ჰგმო რა მან ბოროტება,
აღმოიკითხა თვის ცოდვილ დღეთა
დასჯა, პატიჟი და შეწყალება.
აწ განიცადა ჭეშმარიტება
და, ამა განცდით შეშინებული,
თრთოლვამ მოიცვა და აიტანა
გზა-დაბნეული, გაოგნებული...
და ამ დუმილში უცბად გაისმა
ხმა დაცემულის ძირს ფიალისა,
მკერდის სიღმიდგან აღმოხეთქილი
ძლიერი ოხვრა, კვნესა გულისა,
ფერი ეცვალა ცოდვილსა ასულს,
ცრემლი წამოსქდა, წაიქვითინა
და ის ამაყი, ურცხვი მეძავი
პირ-ქვე დაემხო მაცხოვრის წინა.

კენტი

## ბრწყინვალე დღესასწაული

(ანდრე ტერიესი)

სევილიის მიდამოში, სახელდობრ ტრიანაში, სცხოვრობდა თხუთმეტის წლის ყმაწვილი ხუანო. უდედ-მამომ, ოხერტიალმა და უბინაომ სრულიად შემთხვევით, ძაღლ-უმადურს ცხოვრებაში, ქუჩა-ქუჩა ტანტალში, როგორც იყო თხუთმეტ წლამდის მიაღწია. დღეს ტანტალში ატარებდა, ღამეს-კი ფართო ცის ქვეშ ათენებდა და ათასში ერთხელაც რომელისამე სასტუმროს გომში. ფულის შოვნისათვის ათას გვარს საშუალებასა ჰხმარობდა; ყველა იმათში-კი ხუანოსათვის უფრო სარგებლიანი იყო თეატრებისა და ცირკების წინ აფიშების სყიდვა. რასაკვირველია, მოგებულ ფულით კუჭსაც ძლიერ ნაკლებად აკმაყოფილებდა ხოლმე. იკვებებოდა თითო მუჭა წაბლითა და ზოგჯერაც მორჩენილის, იაფ ფასიანის მწვანილეულობით. ამიტომ საწყალი ხუანო თავის დროზედ არც მაძღარი იყო ხოლმე და არც ჩაცმული.

თუმცა ხუანო მუდამ უმგსავსს ძონძებში იყო გახვეული, მაინც ლამაზი იყო; მისი ელვარე შავი თვალები, მომღიმარე პირი, ხშირი ხუჭუჭი, თმა შავგვრემანს სახეზედ ხშირად დაყრილი, სრულს სიმშვენიერის ბეჭედს ასვამდა ხუანოს; შავგვრემანობის გამო შავს მორენიტოს ეძახდნენ. იმისს ძარღვებში უფრო ბოშების სისხლი სდუღდა, ვიდრე ისპანიური, და როგორც ყველა ბოშა, მხიარულობის მოყვარული იყო, დამოუკიდებელის ხასიათის პატრონი, უყვარდა ტანტალი და აღმერთებდა, გიჟდებოდა ხარების ჭიდაობისათვის.

უფრო ის არის, რომ ქალ აქის მცხოვრებლების შორის ერთობა და მეზობლური დამოკიდებულება აღარ არსებობს. თითოეული ეროვნობის კრებული, ჯგუფი განმარტოეულა, განცალკევებულა და საერთო სამშობლო, საერთო დედა ქალაქი, საერთო წარსული დაუვიწყნია. ერთს მეორისა აღარა სჯერა-რა, მეორეს მესამისა არა ესმის-რა. ძველს დროს ასე როდი ყოფილა. მაშინ ქალაქის მცხოვრებელთა ერთი სული და ერთი გული ედგათ. არა თუ ეროვნობისა ანუ ხალხოსნობის სხვა-და-სხვაობა, არამედ თვით სარწმუნოებაც არ აბრკოლებდა, მაგ., მაჰმადიანს ქრისტიანებთან ერთად ელხინა და ექეიფნა დღესასწაულის დროს. გარეშე მტერმაც კარგად იცოდა ტფილელების ესეთი ერთობა და კავშირი და როცა აღა-მაჰმად ხანმა აიღო ჩვენი დედა-ქალაქი, პირველად მუსულმანები ამოწყვიტა მეჩითში... ახლა-კი მაჰმადიანობაზე ვინ-ღა სჩივის, როცა ქრისტიანებიც განზე იწევენ და ერთობისა აღარა სწამთ-რა!... ჩვენს დედა-ქალაქს რაღაც უცნაურმა ქარმა დაჰბერა და სრულად აღგავა ძველებური ურთიერთი დამოკიდებულება და ძმობა. მაშ რასაკვირველია, რომ აწინდელ დროს ყოვლად შეუძლებელია საყოველთაო დროს გატარება, ლხინი, სხვა-და-სხვა ვარჯიშობა, რომლითაც სტკბებოდნენ ჩვენი წინაპარნი. ასეა საქართველოს ყველა იმ ქალაქშიც, სადაც ერთად სცხოვრებენ სხვა-და-სხვა ეროვნობის წარმომადგენელნი. დიაღ, ბატონებო, დრონი იცვალნენ და ტფილისიც შეიცვალა. აბა გაისეირნეთ ქუჩებში და დაინახავთ,—რა ზნეთა და ენათა შერევა სუფევს, რა ურთიერთი უთანხმოება და უნდობა აჩრდილებს აღდგომის ბრწყინვალე სხივებსა!...

**

ცუდ-უბრალოდ-კი არ აღვნიშნე, რომ სულით აღდგენა და გულით ამაღლება გვესაჭიროებაო. მეტადრე ეს ქართველობაზე უნდა ითქვას. დიდად სამწუხარო და საუბედუროა, რომ შინაობაშიაც ქვენა გრძნობა და ერთი-ერთმანეთის მტრობა ნელ-ნელა ფეხს იდგამს და ერთობის დამამხობელი დასობა, რაღაც ჯანაბა უაზრო და უმნიშვნელო პარტიობა პარპაშობას იწყებს. არა თუ მთელ საზოგადოებაში, ერთსა და იმავე ოჯახშიც შუღლი და უსიამოვნება იბადება ამ პარტიობის წყალობით. მე მოგახსენებთ იმ პარტიობის შესახებ, რომელიც ჩვენებურმა შუშუტობამ და ქარაფშუტობამ შექმნა და მოედანზედ საჭიდაოდ გამოიყვანა და, რომელსაც, თუმცა სარჩულად ჩვენის სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულების ვითომ-და გონების თვალით განხილვა აქვს, მაგრამ ნამდვილად-კი სულ სხვას ესწრაფის, მისდევს... ჯერ იყო და ამ პარტიობამ სამშობლოს ერთი მხარე მეორეს შეაჯახა, ახლა კიდევ ერთისა და იმავე ქალაქისა, დაბისა და სოფლის მცხოვრებელთ შორის განცალკევება და მტრობა დაჰბადა. რაც დრო და ჟამი მიდის, ერთობას უფრო თანდათან საძირკველი ერყევა. დიდი სიფხიზლე და დარაჯობაა საჭირო. კიდევ კარგი, რომ უმრავლესობა, მდაბიო ხალხი შორს სდგას ამ საზოგადოებრივს ჭიშპობაზედ, თორემ შენი მტერი, რომ ჩვენი საქმე იქნებოდა!... მაგრამ უბედურებაც უფრო ის არის, რომ ერის ხელმძღვანელს მოწინავე საზოგადოებას, თავად-აზნაურობას განგებ გაუჩინეს სადავო, საშუღლო ვარჯიში და წყალი განგებ აამღვრიეს—თევზს უფრო ადვილად დავიჭერთო... მეზობელი მეზობელს შემოსწყრა, მეგობარმა მეგობარი დაუტევა და ეს იმიტომ, რომ ერთი ერთის დასისა და პარტიისაა და მეორე—მეორისა! ამბობენ, რომ ზოგს სოფელში, სადაც სხვა-და-სხვა გვარეულობის თავად-აზნაურობა ბლომად სცხოვრებს, საერთო სადღესასწაულო ლხინი შეუძლებელიაო და ეს საბანკო პარტიობის გამო. უბედურება კიდევ ის არის, რომ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს ნაცნობისათვისაც-კი „ქრისტე აღსდგა“ ვერ მიგილოცნია იმავე საბანკო დავი-დარაბის მიზეზით! მეტი-ღა უბედურება იქნება და განა, ამის შემდეგ, საჭირო არ არის, რომ საზოგადოება სულით აღსდგეს და განაბნიოს მტერნი თვისნი?!.

სანატრელი და საქებარი არც ინტელიგენციის ურთიერთი დამოკიდებულება არის. მეტადრე ეს უნდა ითქვას ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელიც სხვა-და სხვა რედაქციას შეჰფარებია. აქაც სრული განხეთქილება და უსიამოვნება სუფევს,—ერთი რედაქცია მეორეს ალმაცერად შეჰყურებს, მეორე მესამეს გულ-ცივად ექცევა და სხ. მართალია, ჩვენში საქმე ჯერ იქამდე არ მისულა, როგორც «მშაკაკანებს», „ნორ დარაკანებს“ თა დანარჩენს მოკაკანეებს

წითელს პარასკევს მორენიტომ როგორღაც დარდიანად გაიღვიძა. მთელს უკანასკნელს კვირას თეატრები და ცირკები დაკეტილები იყო, რის გამოც ხუანოს აღარ ჰქონდა საშუალება აფიშები ესაღებინა. ხუანოს ჯიბეში თაგვები თამაშობდნენ.

ამ გარემოებას ხუანო მოთმინებიდგან გამოჰყავდა, ამის მიზეზი ის იყო, რომ აღდგომა დღეს ხარებს უნდა გაჰმკლავებოდნენ გამოჩენილნი მაცონიტი და ფრასკულოთ, როგორც „Primeres espadas“,[1]) და ხუანოს-კი ფული არ ჰქონდა, რომ ბილეთი ეყიდნა.

მცირე ხნის ფიქრის შემდგომ ხუანომ გადასწყვიტა ბედი ეცადნა. ადგა თუ არა, ილოცა მადონა „De la Esperanza“, რომელიც, ხუანოს აზრით, მუდამ ეხმარებოდა და სწყალობდა, გაისუფთავა თავისი ხუჭუჭი თმა ბზისაგან და გამოვიდა ბაგადამ, სადაც ღამე გაათენა.

მშვენიერი დილა იყო. მუქ-ლაჟვარდოვანს მზიან ცის გუმბათზედ ნათლად მოჩანდა მაღალი ვარდის ფერი კოშკი გირალდა. სადღესასწაულოდ სოფლებიდგან ჩამოსული ხალხი, წითელ პარასკევს და დიდ შაბათის საეკლესიო ლიტანიებში მონაწილეობის მისაღებად, ბუზივით ირეოდა სევილიის ქუჩებში. მოქალაქეთაგან ჰედვით გაჰედილი იყო „de la Toros“ მოედანზედ ცირკის კასის მიდამო, და ეს სურათი-კი უფრო უათკეცებდა საწყალს ხუანოს ნაღველს. ქუჩის ქვაფენილზე სიარულით ფეხები სრულიად დააწყდა; გადიოდ-გამოდიოდა ქუჩის ერთი თავიდგან მეორემდე და ხარბად ჰყლაპავდა სხ. და სხ. ტკბილეულობისა ღ ქადა-ნაზუქის სუნს, რომელიც იქვე ქუჩის შესახვევებში კეთდებოდა; მთელი ქუჩა იმის მიმზიდველს სუნს მოეცვა. ხუანო, გამაძღარი ტკბილეულობის სუნით, ახლა ტორეადორებს აედევნა; ისინი ბრწყინვალე ზედა-ტანსაცმელსა და ვიწრო შარვლებში გამოწყობილნი ან ყავახანებთან ირეოდნენ, ან მედიდურად გადიოდ-გამოდიოდნენ წინ და უკან. ამ სიარულის დროს ხუანომ ბევრი ამტვრია თავი, გამოეძებნა, რომლის პატიოსანის საშუალებით მოვახერხო ორიოდე გროშის შოვნაო, მაგრამ ამაოდ. ხუანო კიდეც ეცადა შეჰკედლებიყო რომელსამე ამხანაგობას და იმათთან ერთად გამოეკრა ქუჩებში, ან ეტარებინა სადღესასწაულო პროცესიის განცხადებანი, მაგრამ მისი ცდა ფუჭი გამოდგა: ყველა ადგილები, დიდი ხანია, დაჭერილი იყო და ჩვენს საბრალო ხუანოს ყველანი უნუგეშოდ ისტუმრებდნენ.

ბოლოს დაღალულ-დაქანცულმა, მშიერმა და შუადღის მზეზედ გახრუკულმა ხუანომ დიდ მოედნისაკენ გასწია. აქ უნდა შეყრილიყვნენ სამღვდელოებანნი და აქედამ დაიძვრებოდა ბრწყინვალე პროცესია; პროცესია გაივლიდა ქალაქზედ და ასე მივიდოდა ტაძარში. აუდენციის[2]) ერთ-ერთს ალაყაფის კარებთან ხუანომ იპოვნა დაჩრდილული კუთხე, ჩამოჯდა და გარდასწყვიტა, დაესვენა აქ, ვიდრე საპროცესიო ჯვრები და დროშები დაიძვრებოდა.

„ვისაცა სძინავს, ის სადილობსო“ და გემრიელის საჭმლის ნაცვლად ხუანომაც გემრიელის ძილით უმასპინძლა კუჭსა. მორენიტო მალე ღრმა ძილს მიეცა. მშვენიერი სანახავი იყო მორენიტო ძილის დროს. ის ლამაზად იწვა წელში მოქნილი თეთრს ქვის კიბეზედ და ცალი ხელიც ხუჭუჭა თავ ქვეშ ამოედო. შავი და გრძელი წამწამები ღრმად წამოჰშლოდა შავგვრემანს ლოყებზედ და ნახევრად ღია მოღიმარსა და ვარდის ფერ ლამაზ ტუჩებიდგან გამოსჩანდა მარგალიტებრ თეთრი, პატარა და სწორე კბილები.

იმ დროს, როდესაც მორენიტოს ასე ტკბილად ეძინა და დროებით სრულიად დავიწყებოდა შიმშილიცა და ათასი სხვა ვარამიც, იმის გვერდით გაიარა ორმა მოგზაურმა: ახალგაზდა კაცმა და ქალმა, უთუოდ საქმრომ და საცოლემ, ვინ იცის იქმნება ცოლ-ქმარნიც იყვნენ, მაგრამ ის-კი ნამდვილია, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

— შეჰხედე ერთი, რა კარგი რამ არის ეს პატარა მუქთა-მჭამელი, უთხრა ახალგაზდა კაცმა ქალს და შესდგა ყმაწვილის წინ, რომ დაეტკბო ამ სანახაობით თავისი თანამგზავრი. ოხ, რა კარგი იქმნებოდა, რომელმამე მხატვარმა ნახოს! რა მშვენიერს სურათს დაჰხატავდა! უცქირე, რა ლამაზად და უცნაურად არის გადაწოლილი! კაცს ეგონება, განგებ არის ასე გადაწოლილი, რომ მოჰხიბლოს ადამიანი. ეს ხელიც რაღაცა უცნაურად გაუშლია, თითქოს სათხოვნელად ჰქონდეს გამოშვერილიო. ერთის სიტყვით, ძალიან ლამაზი სანახავია.

— იცი რა? სიცილით უთხრა თანამგზავრმა ქალმა: სწორედ დიდად ესიამოვნებოდა, როდესაც გაიღვიძებს, ხელში რომ რამდენიმე პეზეტი იპოვოს? შეყვარებულნი დიდ-სულოვანნი არიან. ყმაწვილმა კაცმა ამოიღო ჯიბიდგან ხუთ ფრანკიანი ვერცხლი და ჩაუდო გამოშვერილს ხელში მორენიტოს, რომელსაც ცივის მოხვედრაზედ გაშლილი ხელი უცბად მოეკუმშა ნახევრად.

ახალგაზდა ქალ-ვაჟმა ერთს წამს კიდევ უცქირეს მორენიტოს და მერე-კი სიცილითა და ლაზლანდარობით გასწიეს თავიანთ გზისაკენ.

მორენიტოს-კი ეძინა და ჰხედავდა სიზმრებს. იმას ესიზმრა, ვითომ მადონა de la Esperanza ცისარტყელაზედ ჩამოეშვა ძირს; თავზე თეთრის იასამნის გვირგვინი ედგა და ხელში თეთრი ვარდები ეჭირა. მადონა მორენიტოს გვერდით ჩამოეშვა და უთხრა მას ნაზისა და ტკბილის ხმით: „ხუანიტო, შენ არ მივიწყებ და ყოველ დილითა და საღამოთი მლოცულობ ჩემის საყვარელის შვილის აღდგომის სადიდებლად, ამიტომ მსურს დაგაჯილდოვო. მე უთუოდ მოგიხერხებ, რომ აღდგომა დღეს შესანიშნავს ხარების ჭიდაობას დაესწრო“! ამ ლაპარაკში მადონამ თეთრი ვარდები მორენიტოს გაშლილს ხელზედ შეარხია და იის ფოთლები ხელში ჩაუყარა; ფოთლები დაცემისათანავე ვერცხლის ფულად იქცა. მორენიტოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა;—ამ სიხარულში კიდეც გაიღვიძა. მორენიტო გაიზმორა, და აი სასწაული! მის გაშლილ ხელიდან გადაგორდა დიდი ვერცხლის ფული და წკრიალით ჩაგორდა კიბის ქვის საფეხურებზედ. მორენიტოს აღარც თავისის თვალისა სჯეროდა, აღარც ყურისა. ბოლოს აიღო ფული ხელში: ახალი, ბრჭყვიალა ხუთ-პეზეტიანი მანეთი! დიაღ, ეხლა-კი შეუძლიან ჰნახოს კვირას ხარების ჭიდაობა! ერთს წამს მორენიტო ფეხზედ იდგა; სრულიად დაავიწყდა პროცესია და de la Toros მოედნისაკენ გაექანა საკვიროდ ბილეთის სასყიდლად.

„S.-Padlo“-ს ქუჩის მოსახვევში მორენიტო თითქმის დაეჯახა თავიანთ უბნის ერთს ქალს, რომელსაც მოხდენილის მიხვრა მოხვრის გამო მეტ-სახელად ჩატას[3]) ეძახდნენ. საშინლად გაფითრებულიყო და ტირილისაგან მშვენიერი თვალები სრულიად დასწითლებოდა.

— რა მოხდა Chata mia?[4])—ჰკითხა შეშინებულმა მორენიტომ.

— დედა ჩემი ავად არის, და ეს ორი დღეა, რაც არა მძინებია. დღეს დილით ექიმმა ნახა, წამლები გამოუწერა, მაგრამ მეაფთიაქე უფულოდ არ იძლევა. რა ვქნა, არ ვიცი? საწყალს დედას რომ რამე მოუვიდეს, მეც ველარ ავიტან და მოვკვდები. ჩვენ კი ერთი პეზეტიც არსად მოგვეძებნება, რომ მეაფთიაქეს წამალი გამოვართოთ.

მორენიტო რამდენსამე წამს უძრავად იდგა და ჩატას ნამტირალევს თვალებს ჩასცქეროდა. ბოლოს ამოიღო ჯიბიდან ხუთ ფრანკიანი მანეთი, ჩაუდო თავისს პატარა მეგობარს ხელში და უთხრა:

— აი nina mia[5]), წაიღე და დედას წამალი უყიდე. მე ეს ფული მადონა de la Esperanza-მ მომცა, და დარწმუნებული ვარ, რომ bonita madre[6]) არ გამიწყრება, ეს ფული დედა შენს რად მოვახმარე და ხარების ჭიდაობას რად არ დავესწარ.

გახარებულმა და განცვიფრებულმა მოულოდნელის შემწეობით ჩატამ ველარა მოახერხა-რა სათქმელად, მადლობაც-კი არ გადაუხადია მორენიტოსათვის; ერთი შეჰხედა ჩატამ და აფთიაქისაკენ გაქანდა. ეტყობოდა, მორენიტოს ბედმა არ დაუწერა აღდგომა დღეს ხარების ჭიდაობა ენახა. ის მაინც ბედნიერადა სთვლიდა თავისს თავს. ჩატას დედა აღდგომა დღისთვის უკვეთ შეიქმნა, ასე რომ შაეძლო დედას მოშორებოდა. მოირთო ლამაზად, დანარჩენ ფულით იყიდა ორი ვარდი და გიშერივით შავს თმაში გაიკეთა. მერე ადგა და გასწია ქალაქის მოედნისაკენ, სადაც ხშირად გამოდიოდა ხოლმე მორენიტო. აქედამ მორენიტომა და ჩატამ მდ. გვადალკვივირისაკენ გასწიეს სასეირნოდ, სადაც მშვენიერი ფორთოხილის ხეები ჰყვაოდა.

პატარა ჩატას თვალებში იხატებოდა გაზაფხულის სიცოცხლე და სიტურფე, მთელი მისი მშვენიერება; ამ თვალთ ღრმა, უფსკრულ მორევიდგან-კი გამოიცქირებოდა უფრო ნაზი რამ სულიერი გრძნობა.

სეირნობაში გავიდნენ ქალის მივარდნილს კუთხეში; აქ ესენი სრულიად დაჰფარა ცნობის-მოყვარეთა თვალთაგან დიდროვანმა ამწვანებულმა ჯაგებმა; ჩატა თავისის პატარა ხელებით ერთბაშად გულზედ მოეხვია მორენიტოს და, მიუახლოვა რა იმის ლოყას თავისი მხურვალე ტუჩები, გაბედვით და ურცხვად ჩასძახა ყურში:

— Ge guiero mocho companero! (მე ძალიან მიყვარხარ, მეგობარო!)

და მაშინ, როდესაც გაზაფხულის წყნარს ჰაერში მხიარულად გაისმოდა ზარის სადღესასწაულო ხმა, ჩვენმა თხუთმეტის წლის ყმაწვილებმა პირველად იგემეს სიყვარულით შეზავებული კოცნა.

ი. ა.

1) Primera espada—პირველი ტორრეო (მოჭიდავე) რომელიც ყველაზედ უწინ შეეჭიდება ხარსა.

2) აუდენცია (avdiencia)—სასამართლოს შენობა.

3) Chata—კატა.

4) Chata mia—ჩემო ჩატა.

5) Nina mia—ჩემო, პატარავ (ბავშვო)!

6) Bonita madre — კეთილო დედა.

## საალდგომოდ

აღდგომის მიგებება.—წითელი კვერცხი.—ჭონა.—ჯოჯოობა.

სინანულისა და მოთმინების შვიდეული გავიდა. დადგა დრო სიხარულისა და შვებისა. „ქრისტე აღდგა!“—«ჭეშმარიტად»! გვესმის ყოველ მხრიდამ. ყველას სახე უცინის. ყველას რაღაცნაირი უცნაური სიცოცხლე ატყვია. ყოველი მცენარე, ყოველი არსება ჰხარობს და ჰგალობს. ბრწყინვალე დღესასწაულმა, ქრისტესთან ერთად, აღადგინა მკვდრეთით ყოველივე; შეიმუსრა ბორკილი ზამთრისა; ყოველი არსება განთავისუფლდა. ეს განთავისუფლებული არსება დღეს დაჰხარის თავისს თავისუფლებას, შეტრფის თავისის ცხოვრების გაზაფხულს, თავისს მომავლის იმედს. სხვა რაღა დაგვრჩენია ჩვენც იმის მეტი, რომ ამ განთავისუფლებულ არსებათ მივულოცოთ ეს თავისუფლება და შევღაღადოთ: ქრისტე აღდგა თქვენდა აღდგინებისა! ქრისტე აღდგა თქვენდა ცხოვრებისათვის! ქრისტე აღდგა სიკვდილითა

მოსდით, მაგრამ იქმნება ამასაც მალე მოვესწროთ. საქმე ის არის რომ რა-კი ერთხელ აქაც წყალი აიმღვრა, მისი დაწმენდა ძნელი და გვიანდა იქნება.. კიდევ კარგი, რომ სარედაქციო და სალიტერატურო ქიშპობის საბუთი „აზრების ელვა“ და მიმართულების სხვა-და-სხვაობა იყვეს, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც უმთავრეს მიზეზად თავ-აშვებული მადა და ქვენა გრძნობა უნდა ჩაითვალოს. ზოგიერთნი ამ გრძნობამ ისე გაიტაცა, რომ მზად არიან თავის მოძმეს სიცოცხლე მოუსპონ, თუ-კი იმათ მადას უხვი საზრდო მოაკლდება. რასაკვირველია, ასეთს მდგომარეობაში ყოვლად შეუძლებელია ინტელიგენციის და ლიტერატორების საერთო სადღესასწაულო ლხინი და მეჯლისი. ჯერ რა დროსია ასეთი ბედნიერი განწყობილება და ან ჩვენგანი ვინ მოესწრება, რომ აღდგომა დღეს მთელის მწერლობის წარმომადგენელნი ერთს სუფრას ირგვლივ შემოსხმოდნენ და მწყობრად დამღეროდნენ სამშობლოს სულითა და გულით აღდგენას?!.

**

რასაკვირველია, დღევანდელი წმიდა დღესასწაულის მნიშვნელობა მდაბიო ხალხს უფრო არ ესმის. ეს მარტო უმეცრების მიზეზი როდია. მართალს ამბობს ერთი მორალისტი, რომ აგერ ცხრამეტი საუკუნეა, რაც ზეციერი მოძღვარი ქვეყნად მოვიდა, ცოდვილი კაცობრიობა დაიხსნა ჯოჯოხეთისაგან და ჩვენი „მცირე ძმა“ მაინც ტანჯვასა და ვაებაშიაო... ქრისტეს მაღალი და ცხოველ-მყოფელი მოძღვრება, მისი სულისა და გულის განმასპეტაკებელი სწავლა ძმობისა და ერთობის შესახებ ჯერ ისევ ცალიერ სიტყვად დარჩა საზოგადოების უმრავლესობისათვის და ვინ იცის, როდის მოჰფენს ეს მოძღვრება თავის სხივებს მდაბიო და ბეჩავს საზოგადოებასა! დიდი ზნეობრივი ძალა, დიდი სულიერი განძია დამარხული ამ საზოგადოებაში და ჩეტავი იმ დროს, როდესაც ეს ძალა და განძი მკვდრეთით აღსდგება... მხოლოდ მაშინ შეიგნებს მდაბიო ხალხი,—თუ რა აზრი აქვს აღდგომას... ახლა-კი ამისათვის აღდგომა მარტო საეკლესიო დღესასწაულია, „დიდი უქმე დღეა“ და სხვა არაფერი. რა იცის საწყალმა და გლახაკმა, რომ სწორედ ამ უქმე დღეს საუკუნოდ გაუქმდა მონობა და ცოდვა!.. რა ესმის, რომ დღევანდელ უქმე დღეს მცნებად და ვალად კაცობრიობას მოევლინა მუდმივი შრომა და ზრუნვა დამონავებულ სულის აღსადგენად!..

სამწუხაროდ, აწინდელი საზოგადოებრივი ურთიერთი დამოკიდებულებაც ვერაფერს სანუგეშოს უხატავს და ასწავლის მდაბიო საზოგადოებასა. ამიტომ ასეთს დიდ დღესასწაულსაც-კი, როგორიც აღდგომაა, ჯეროვან სიხარულით არ ეგებება ეს საზოგადოება. ბედშავისთვის აღდგომა სად გაგონილაო... მართალიც არის. უბირს კაცს, გლეხს ყველაფერი თავისებურად ესმის და გულითა და სულით მხოლოდ მაშინ დღესასწაულობს, როცა თავის გარშემო, თავის სოფელში და მეზობლობაში სიხარულსა და კმაყოფილებას ჰპოებს. მაგრამ სად არის ეს უკანასკნელი?!.

ახლანდელი სოფელი დაიქსაქსა, შეირყა, დაირღვა. სოფელსაც საზოგადო ლხინი და მხიარულება მოაკლდა, რადგანაც ცხოვრების საზოგადო საგანი მოიშალა. ჩვენ მარტო იმას როდი ვამბობთ, რომ სოფლად თავად-აზნაურობისა და გლეხობის შორის ზნეობრივი კავშირი გასწყდა, არა,—თვით გლეხობაშიც არ არსებობს საჭირო ერთობა, საკმაო ძმური სიყვარული, თანხმობა, ნდობა, ერთი-ერთმანეთის გატანა. თავად-აზნაურობის ზნეობრივი ფუქსავატობა ხომ უფრო ცუდად მოქმედებს გლეხობაზე. ყველა ამის გამო სოფლადაც ისრეთის საერთო სიხარულით ვერ დღესასწაულობენ აღდგომას, როგორც შეშვენის. ყველგან და ყველასათვის საჭიროა გონებით და ზნეობით აღდგენა და როცა ეს დიდი საქმე შესრულდება, მაშინ ექნება ჩვენთვის „ქრისტე აღზდგას“ თავისი ნამდვილი ძალა და მნიშვნელობა. დიაღ, ბატონებო, თხუთმეტი საუკუნეა, რაც საქართველოში „ქრისტე აღსდგა“ გაისმის და თუმცა ოდესმე ამ დიდმა მოძღვრებამ ჩვენც აღგვადგინა, მაგრამ ისევ დავეცით. „ქრისტე აღდგას“ მაშინ გავიგებთ, როცა ვეცდებით რომ

„ჩვენი ივერი აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვათ ერთა შორის,
წმიდით საყდარით, ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!..
ზნე ამაღლებით, ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!
და გაგვიცოცხლდეს, რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა,
რომ განვიღვიძნეთ, სულით განვახლდეთ
და განქრეს ბნელი უმეცრებისა“!..

Plebs

სიკვდილის შემმუსვრელი და თქვენი განმათავისუფლებელი! ქრისტე აღდგა და მოგანიჭათ ცხოვრება საუკუნო და თქვენ, ადამის ძენო, იშვებდით და იხარებდით უმეტეს ყოველთა თესლთა, რადგან უფალმა უფლებისამ დღეს მოგანიჭათ თავისუფლება, ეს უდიდესი ნიჭი ყოველთა ნიჭთა შორის. ქრისტე აღდგა!

—

ქრისტე აღდგა და ჩვენ გვიხარიან. ხოლო არიან სულნი, რომელთაც ქრისტეს აღდგომა სძულთ არა გარეგნად, არამედ იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მაცხოვრის აღდგომას დაერთო თავიდგან. ეს არის აღდგინება ჭეშმარიტებისა, აღდგინება დაჩაგრულთა და მონათა, ეს არის განთავისუფლება საუკუნო კეთილისა ბოროტისაგან და დასთრგუნვა უსამართლობისა უმაღლესის ზეციურის მადლით. აღდგომა იგი ანიჭებს დამწყვდეულ და ტანჯულ არსებათ თავისუფლებას, სხივს საუკუნო ცხოვრებისას და სალხინო წალკოტს სამოთხისას.

—

აღდგომის დღეც დგება. უწითელ კვერცხოდ აღდგომა როგორ იქნება! წმ. იოსებმა იესო ქრისტეს უხრწნელი გვამი სამსჭვალიდგან ჩამოხსნა, წმინდა ტილოებში წარგარგნა და დაასაფლავა პარასკევს. ხოლო შაბათსა სეროზისასა ქრისტეს საფლავზედ მივიდნენ სამნი დიდებულნი დედაკაცნი—ღვთისმშობელი მარიამი, მართა და მარიამი, დანი ლაზარესნი, და მათ ხელში წითელი კვერცხები ეპყრათ. კვირიაკის დილით, ცისკრისას, ანგელოზებმა ამ დედა-კაცებს აუწყეს და ახარეს ქრისტეს აღდგომა. ამ გადმოცემის მიხედვით დღეს აღდგომას წითელის კვერცხებით ვულოცავთ ერთმანეთს.

ვისაც სააღდგომოდ კვერცხი არ მოეძევება, ის ჭონაზე დადის. პარასკევიდამ მოკიდებული შეიყრება რამდენიმე კაცი და კარ-და-კარ დადის. იმათ დააქვთ კალათი ან პარკი. ვისთანაც მივლენ, მიუგალობენ, მიულოცვენ მომავალ ბრწყინვალე აღდგომას ბედნიერებისასა და სავსებისას; სახლის პატრონი კვერცხებს ჩაუწყობს კალათაში და გაისტუმრებს. ვინც ერთ კვერცხს ჩაუდებს, იმას ეტყვიან ხოლმე: „სახლი პატრონო, ოროლობაა!“ ამ გვარად მეჭონენი დიდძალს კვერცხს მოაგროვებენ ხოლმე.

აღდგომის დღეს ქართველნი წინად ჭამა-სმაში-კი არ ატარებდნენ, არამედ ადრევე გამოვიდოდნენ ხოლმე საბურთალოზედ, სადა ზოგი კვერცხს სჭიდებდა, ზოგი ბურთაობდა და სხ. ბურთაობა იმერეთში დღესაც იციან: შეიყრება ხოლმე დიდ-ძალი ხალხი. განაწილდება ორ უბნად ან დასად, ააგდებენ ვეებერთელა წითელს ბურთს და, რომელი მხარეც ამ ბურთს ხელში იგდებს და ლელო მიიტანს, ის მხარე გამარჯვებული ითვლება! წინად თვით მეფენიც მონაწილეობდნენ ამ გართობაში.

—

ქალაქში აღდგომის შემდეგ სამშაბათს იციან ჯოჯოობა. ავლაბარში „ძაღლის უბანში“, მტკვრის ნაპირზედ არის ერთი გამოქვაბული, სადა ჯოჯოები ბლომად იცის. აქ შეიყრებიან ხოლმე დედა-კაცები, რომელთაც ჯოჯოებისთვის შაქრის კვნიტები მოაქვთ. აზრი ამ დღესასწაულისა წყვდიადით მოცულია, ხოლო ის-კი, რომ ჯოჯოებს დიდი კავშირი აქვთ ჯოჯოხეთთან, ჩვენ უეჭველი გვგონია.

---

## ბიბლიოგრაფია

—

**ახალი შრომა.** ჩვენ გვქონდა შემთხვევა ზედმიწევნით გაგვეცნო შრომა ივ. როსტომაშვილისა „Историко-географическое описаніе Джавахетіи“. ამ ფრიად თვალსაჩინო ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერაში ჯავახეთისა ჩართულია მრავალი ნახატი ძველ ნაშთებისა: ციხეებისა, კოშკებისა, ეკკლესიებისა, ზედწარწერიან სიპებისა, სურათები აწინდელ ჯავახელებისა და აგრეთვე ძეგლებიდან გადმოხატულია მათი ნაწერები უცვლელად და ახსნილია შესაბამად. მთელი შრომა წარმოადგენს ერთს შესამჩნევ წვლილს საქართველოს არქეოლოგიურ-ისტორიულ განძისათვის, ხოლო უმეტესად-კი საინტერესოა ამ შრომაში ჩართულნი წარწერანი. ჯავახეთის ნაშთების წარწერანი ეკუთვნიან მეათე—მეთორმეტე საუკუნეს და რაოდენიმე შემდეგ საუკუნოებსაც. წარწერებში მოხსენებულია ძეგლების მაშენებელნი: ბაგრატ მეფე (მე-X საუკ.), გიორგი, თამარ, ლაშა და სხ., კათალიკოზნი: ოქროპირ, მელქისედეკ და მრავალნი სხვანი. ამ შესანიშნავ ნაშრომის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით.

ე—მ

---

## გასართობი

—

არქიელმა გამოცდის დროს ჰკითხა ერთს სოფლელს დიაკვანს:

— ნოეს რამდენი შვილი ჰყავდაო.

— სამი: სემი, ქამი და იაფეთი, უპასუხა დიაკვანმა.

— იმათ მამას რა ერქვა?

დიაკვანს დაავიწყდა ნოეს სახელი და ამის გამო არქიელმა არ მისცა ადგილი. დიაკვანი წავიდა დაღონებული. თავისს სახლს რომ მიუახლოვდა, ცოლი წინ მიეგება და ჰკითხა:

— კაცო, რათა ხარ აგრე დაღონებული?

— რაღა რათა ვარ დაღონებული, არქიელმა ისეთი ძნელი რამ მკითხა, სრულიად გადავირიე?

— მაინც ისეთი რა გკითხა?

— ნოეს რამდენი შვილი ჰყავდაო. მე შვილების სახელი ვუთხარი და მამის სახელი-კი დამავიწყდა.

— კაცო!.. რატო აგრე გადარეული ხარ... ეხლა ჩვენ მეზობელს ტეტიას რამდენი შვილი ჰყავს?.. ნოდარი, მიხა და ივანე?.. ეხლა იმით მამას რა ერქმევა?

— რა უნდა ერქვას, ტეტია ერქმევა.

— ჰო-და მაგრე ვერ ეტყოდი?!. დიაკვანმა მეორედ ითხოვა ალაგი. არქიელმა შეისმინა იმისი თხოვნა და ისევ ისა ჰკითხა.

— ნოეს რამდენი შვილი ჰყავდა?

— სამი—სემი, ქამი და იაფეთი.

— იმათ მამას რა ერქვა?

— ტეტიაო, უპასუხა დიაკვანმა.

**

— არაყი თქვენი დიდი მტერია და რად გიყვართ?

— მართალსა ბრძანებთ, მამაო, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ სახარებაში სწერია: „შეიყვარე მტერი შენიო“.

— მართალია, მაგრამ სახარებაში ის ხომ არა სწერია: „შთანთქე მტერი შენიო“.

**

ერთს თავისი ცხენი ისე დაესაპალნა, რომ ცხენი ვეღარ მიდიოდა. იფიქრა თავისთავად: „ცხენი ცოდვააო„, ჩამოვიდა, ნახევარი საპალნე თითონ აიკიდა და ისე შეჯდა ცხენზედ.

---

# დეპეშა

14 აპრილი

**ლონდონი.** პარლამენტმა ხმის უმეტესობით შეიწყნარა ის კანონპროექტი, რომ ქარხნებში მუშაობის ვადად რვა საათი იყოს დადებულიო.

15 აპრილი

**ლონდონი.** ასკიტმა ის აზრი წარუდგინა დღეს პალატას, რომ შევუდგეთ პირველ წაკითხვას იმ ბილლისა, რომელიც ითხოვს ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას ვალისში; ამასთანავე ისიც განაცხადა, რომ ვინც ამ ცვლილების გამო ქონებრივად იზარალებს, ისინი მთავრობის მიერ უზრუნველ იქნებიან.

**პარიზი.** ერთი ვინმე დაატუსაღეს, გვარად ფინეონი, სამხედრო სამინისტროს მოხელე, რომელიც კარგად ცნობილი ყოფილა ახალ-გაზდა მწერალთა შორის; დატუსაღების დროს გასჩხრიკეს იმის სადგომი და აღმოაჩინეს, რომ დიდი მიწერ-მოწერა ჰქონია ანარქისტებთან; ასაფეთქებელი ნივთიერებაც უპოვეს.

პეტერბურგის ბირჟა, 14 აპრილი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,45 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 | 149³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 248 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 244 |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀ . . . . . . | — ,, | — ,, | 101³/₄ |
| 5⁰/₀ . . . . . . | — ,, | — ,, | 99¹/₂ |
| ქუთაისის ბანკის 6⁰/₀. | — ,, | — ,, | 101³/₄ |
| 5⁰/₀. . . . . . | — ,, | — ,, | 99¹/₂ |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¹/₂ | — ,, | — ,, |

---

# განცხადებანი


„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11¹/₂—12¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12¹/₂—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—7¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


თანახმად ქართველთა შორის წერა-იკთხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა წლიურის კრების გადაწყვეტილებისა, დანიშნულია 21 აპრილს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ამავე საზოგადოების

**საგანგებო კრება,**

რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2) მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3) მოხსენება გამგეობისა გამგეობის მოქმედების წეს-რიგის შესახებ.

4) არჩევა სარევიზიო კომისიისა, შესამოწმებლად მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშისა.

და 5) არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.


დაიბეჭდა და ისყიდება ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

მეორე გამოცემა წიგნისა:

УЧЕБНИКЪ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ

СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ

цѣна 50 коп.

(10—9)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—182

ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

„პეცცი ბონს“

ბ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ. Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.

M. (20—19)




